ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. N14; ფიროსმანის ქუჩაზე, სპორტ სკოლის მიმდებარედ და ქ.ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქ. N7ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე N05.24.05.218 და N05.24.05.250 მრავალსართულიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიციატივის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება.

დაინტერესებული პირი - შპს „ორბი ჯგუფი ბათუმი“.

დაგეგმილი ცვლილების მიზანი მოიცავს:

მრავალსართულიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობას, რაც უზრუნველყოფს საპროექტო კომპლექსის ვიზუალურ, მოცულობით, არქიტექტურულ და ქალაქგეგმარებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე მოცემული ადგილის განვითარებას, რისთვისაც საჭიროა განაშენიანების ინტენსიობის კ2 კოეფიციენტის გადამეტება. დაინტერესებული პირი განმარტავს, რომ პროექტირების განხორციელების მთავარი მიზანი არის აღნიშნული კვარტლის, როგორც არქიტექტურული, ისე ფუნქციური თვალსაზრისით, მათ შორის ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ერთიანი კონცეფციით განვითარება. ინიციატორი განმარტვას, რომ აღნიშნულ ობიექტზე დასაქმდება დაახლოებით 1500-2000 ადამიანი და დაიხარჯება დაახლოებით 300 000 000 ლარის ინვესტიცია. მის საკუთრებაში არსებული ქ.ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქ. N7ბ-ს საკადასტრო კოდი: 05.24.05.250 ხარჯზე უნდა ააშენოს საავტომობილო გზა, რომელიც ჟიული შარტავას გამზირს დაუკავშირებს ხახუტაიშვილის გზას.